პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 15 აპრილი 1926 წ. | წელიწადი მეექვსე | ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

81 (1076) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 | განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## პარტ-მსაჯულების ინსტიტუტი მალე უნდა შევქმნათ ჩვენს ნაწილებში.

ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებაში ამ ჟამათ უნდა ახალი მოვლენა შეიჭრას.

ეს ახალი მოვლენა არის პარტ-მსაჯულების ინსტიტუტის შექმნა ჩვენი ჯარის ნაწილებში.

წითელი ჯარის ნაწილებში პარტ-მსაჯულთა ინსტიტუტის შექმნის იდეა, ეკუთვნის ამიერკავკასიის წითელ დროშოვან არმიის მე-4 კონფერენციას, რომელმაც თავის დადგენილებებში გაატარა ასეთი ინსტიტუტის დაუყონებლივ შექმნის აუცილებლობა.

პარტ-მსაჯულების ინსტიტუტის მოღვაწეობა ისე, როგორც ეს არის არმიის კონფერენციის მიერ გათვალისწინებული, უნდა იყოს პრაქტიკული ხასიათის. მისი მუშაობა შეთანხმებულად უნდა მიდიოდეს პარტ-კომისიის მუშაობასთან.

უპირველესათ ყოვლისა ამ ინსტიტუტის შემადგენლობაში არჩეული უნდა იქნას სამი ამხანაგი. ამ სამი ამხანაგისაგან ხოლოდ ორ ამხანაგს ექნება მინიჭებული გადამწყვეტი ხმის უფლება პარტ-კომისიების სხდომაზე და მესამე ამხანაგს კი მიეცემა სათათბირო ხმის უფლება.

შემდეგ პარტ-მსაჯულების ინსტიტუტის წევრები ვალდებული არიან ყოველთვის დაესწრონ პარტ-კომისიების სხდომებს და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ისეთ საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც არის ვინმე ამხანაგის პარტიაში მიღების, ან კანდიდატობიდან წევრათ გაყვანის, საკონფლიქტო საქმეების მოგვარების, ლოთობის საწინააღმდეგო საშუალების გამონახვის და მრავალი სხვა პრაქტიკულ მნიშვნელობის საკითხების შესახებ.

ამ საკითხების პარტ-კომისიის სხდომაზე გადაწყვეტის შემდეგ მსაჯულთა ინსტიტუტის წევრები ვალდებული არიან, რომ ეს საკითხები გადაიტანონ უჯრედის დახურულ სხდომაზე და იქ გააცნონ უჯრედის წევრებს სხვა და სხვა საკითხებზე გამოტანილი დადგენილებანი.

ამის შემდეგ თვით უჯრედის სხდომაზე, ინსტიტუტის წევრების დახმარებით უნდა მოხდეს პარტ-კომისიის სხდომაზე რომელიმე საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების საშუალებათა გამონახვა.

როგორც ვხედავთ პარტ-მსაჯულთა ინსტიტუტის მუშაობა ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებაში, უსათუოდ ახალ მოვლენათ იქნება წარმოდგენილი და თან ისიც უნდა ვთქვათ, რომ მისი მუშაობა მეტად რთული და დიდი მნიშვნელობის იქნება.

ამიტომ კი საჭიროა, რომ ამ ინსტიტუტში წევრებათ არჩეული იქნენ სერიოზული და აქტიური ამხანაგები, რომლების მუშაობითაც შესაძლებელი შეიქნება სხვა და სხვა პრაქტიკულ საკითხების, ჩვენი ნაწილების ცხოვრებაში დადებითად გადაწყვეტა.

პარტ-მსაჯულების ინსტიტუტი მალე უნდა შევქმნათ ჩვენს ნაწილებში და მისი მუშაობამ იმედები უნდა გაამართლოს.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის ამბები

### უ-პეი-ფუ შეუთანხმდა სახალხო არმიას.

სახალხო არმიის სარდლობასა და უ—პეი—ფუს წარმომადგენელს შორის მოხდა შეთანხმება.

ამასთან დაკავშირებით სახალხო არმია უ—პეი—ფუს ჯარებთან ერთად აპირებს მუკდენის არმიის წინააღმდეგ გალაშქრებას. პეკინის რაიონებში სასტიკი ბრძოლებია. მუკდენის ჯარები გააფთრებით უტევენ პეკინს.

სახალხო არმიისა და უ—პეი—ფუს ჯარების შეერთებული მოქმედება უსათუოდ შესცვლის მდგომარეობას ფრონტებზე.

### პეკინში მთავრობა არ არის.

ჩინეთის მთავრობის კაბინეტის ზოგიერთ წევრებს თათბირი ჰქონდათ, სადაც გადასწყვიტეს განაგრძონ მთავრობის მუშაობა ახალის შედგენამდი.

აღმოჩნდა, რომ ჩინეთის პრემიერ მინისტრი ჩია—ტე—იაო იმალება საელჩოს რაიონში.

## სსრკ-ს ცაკის მეორე სესია

### საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი.

#### ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება.

13 აპრილის დილის სხდომაზე საკავშირო ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა.

საერთო შესავლის შემდეგ მომხსენებელმა ციფრობრივი ანგარიში გაუკეთა ბიუჯეტს, რომელიც უდრის 4 მილიარდ მანეთს და 75 პროცენტით აღემატება 1923—24 წლის ბიუჯეტს.

მოხსენების დასასრულ ბრიუხანოვი ამტკიცებს, რომ ჩვენი ბიუჯეტი არ ამოსწურავს მეურნეობის ყველა საკითხებს.

„არ შეიძლება იყოს მტკიცე ვალიუტა—განაცხადა მან—თუ რომ მას არ აქვს ფართე მასებში ნდობა. დღემდის ამ მხრივ ჩვენ სულ წინ მივდიოდით. ჩვენთვის აუცილებელია უფრო ჩაუნერგოთ ფართე მასებს რწმენა, რომ საკრედიტო დაწესებულებებში მათი საშუალებათა შენახვა ხელსაყრელია. ბიუჯეტის მხრივ ჩვენ უნდა განვაგრძოთ რეზერვების დაგროვება და გავატაროთ მომჭირნეობის რეჟიმი“.

#### ამხ. კუიბიშევის თანამოხსენება.

საღამოს სხდომაზე თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. კუიბიშევი.

მან ახსნა ბიუჯეტის საფუძვლები, თუ რომელთა მიხედვითაც შედგენილ იქნა ის, შეეხო ამოცანებს ამ დარგში და დასასრულ განაცხადა:

„საერთოდ ცაკის საბიუჯეტო კომისია სთვლის, რომ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სესიაში განსახილველად შემოტანილი ბიუჯეტი დიდი ნაბიჯია წინ ჩვენს საბიუჯეტო საქმეში. საბიუჯეტო კომისიას შემოაქვს წინადადება—დამტკიცებულ იქნას ბიუჯეტი იმ ცვლილებებით, რომლებიც შეიტანა მასში საბიუჯეტო კომისიამ“.

ბრიუხანოვისა და კუიბიშევის მოხსენებების გარშემო კამათი გაიხსნა გუშინ დილის სხდომაზე.

## ჩიჩერინის ნოტა ერთა ლიგის გენერალურ მდივნისადმი.

ერთა ლიგის მიწვევის საპასუხოდ—მონაწილეობა მიეღო საბჭოთა კავშირს განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა მიმართა ერთა ლიგის მთავარ მდივანს ნოტით, რომელშიაც ნათქვამია:



ამხ. ჩიჩერინი.

„თუ რომ პირველ წინადადებაზე—მონაწილეობა მიეღო საბჭოთა კავშირს განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში—საბჭოთა მთავრობამ გადაჭრით განაცხადა უარი, მაგრამ ერთა ლიგამ საჭიროდ დაინახა მაინც არ შეეცვალა პირველი გადაწყვეტილება, ამის გამო არ შეგვიძლია არ მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ერთა ლიგა თავიდან სცდილობდა არ მიეღო საბჭოთა კავშირს მონაწილეობა კონფერენციაზე; ყველა ფორმალური, გარეგნული განცხადება იმის შესახებ, რომ ერთა ლიგა დიდ მნიშვნელობას აძლევს საბჭოთა კავშირის მონაწილეობას კონფერენციაში, მოკლებულია ყოველივე სიწრფელესა და შინაარსს.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საბჭოთა კავშირის დაუსწრებლობას კონფერენციაზე შეუძლია საბაბი მისცეს სახელმწიფოებს საბოტაჟი გამოუცხადოს საყოველთაო განიარაღების საქმეს ან შეიარაღების შემცირებას (როგორც ამის შესახებ იმათ წინასწარ განაცხადეს), შეგვიძლება მივიდეთ სხვა დასკვნამდი,—რომ ერთა ლიგა, ანუ მისი ხელმძღვანელები ოდნავადაც არ არიან დაინტერესებული, რათა კონფერენციამ დადებითი შედეგები მოიტანოს, ან და როგორც ეს ჩამოაყალიბა ამერიკის დიპლომატიის ერთმა ხელმძღვანელ პირმა: „წინასწარი კონფერენცია შეიკრიბება ჟენევაში, თუ კი რომ ის შეიკრიბა, წინადადებების გასარჩევად, რომლებშიაც შეთანხმება არაა სასურველი და არც მოსალოდნელია, და რომლებიც შეგნებულად იქნება წამოყენებული საქმის წარმატების ხელის შეშლის მიზნით“.

ერთ-ერთი საშუალება საქმის წარმატების ხელის შეშლისა—ეს არის საბჭოთა კავშირის, ე. ი. იმ სახელმწიფოს დაუსწრებლობა კონფერენციაზე, რომელმაც ჯერ კიდევ 1922 წელში წამოაყენა საკითხი საყოველთაო განიარაღების შესახებ, ხოლო შემდეგ თავისი ნებით შეამცირა საგრძნობლად საკუთარი არმია, რასაც რასაკვირველია უარს ჰყოფს სხვა სახელმწიფოები.

საბჭოთა მთავრობა, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი მშვიდობიანი განწყობილება, თავიდან არ ფარავდა თავის უნდობლობას ერთა ლიგის მიერ მოწვეულ კონფერენციისადმი. მაგრამ ის მაინც თანახმა იყო მონაწილეობა მიეღო კონფერენციაზე, თუნდაც უმნიშვნელო წარმატების მოლოდინშიც კი.

ერთა ლიგის ხელმძღვანელთა საქციელი კონფერენციის ადგილის ამორჩევაში საბოლოოდ არწმუნებს საბჭოთა მთავრობას, რომ ერთა ლიგა არა გულწრფელად და არა სერიოზულად ეკყრობა ამ საკითხს და, მაშასადამე, მას არ შეუძლია ისეთი სერიოზული საქმის გაძღოლა, როგორიცაა განიარაღების კონფერენციის მოწვევა.

საბჭოთა მთავრობა დიდის ინტერესით დაელოდება, როცა ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელიც ჟენევის ხრიკებისა და ჩვეულებების გარეშე იქნება და რომელიც შესძლებს საქმის უფრო უზრუნველყოფას, ვიდრე ერთა ლიგა.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ზედმეტია კიდევ ჩემი პასუხი თქვენს წერილზე 19 მარტიდან.

დასასრულ ნებას მივსცემ ჩემს თავს გამოვსთქვა იმედი, რომ ერთა ლიგა შეიწუხებს თავს საბჭოთა მთავრობის მიმართ მიწვევის ბარათის გამოგზავნით ისეთ კონფერენციაზე, რომელზედაც მის მონაწილეობას მართლაც სასურველად იცნობენ ლიგის ხელმძღვანელები.

ჩიჩერინი“.

## სახალხო არმიის გამარჯვება.

დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემს, რომ შეერთებული ჯარი ჩან-ძო-ლინისა, და ჩან-ჩუნ-ლინისა, რომელნიც მკაცრი იერიშით მიდიოდენ პეკინის დასაპყრობად და უნდოდათ უ-პეი-ფუზე ადრე შესულიყვნენ შიგ, მათი დამარცხებით გათავდა.

მიუხედავათ იმისა, რომ გაერთიანებული ძალებით შეუტიეს პეკინს ჩინეთის რეაქციონერებმა, რომელსაც არ აკლდა არც რუსეთის თეთრგვარდიელები, გენერალ ნეჩაევის მეთაურობით და გათხვებული სხვა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების აეროპლანები, მაინც შესძლო სახალხო არმიამ თავისი გმირული და თავგანწირული ბრძოლით, რომელსაც მეთაურობს გენერალი ლი-ჩინ-ლინი დაეცვათ პეკინი და ჩამოეგდოთ პეკინის მმართველი დუან-ცზი-ჩეუი.

ეხლა პეკინის ყოფილი მმართველი დუან-ცზი-ჩეუი, რომელიც იმალება უცხოელების კვარტალში, აქიდან დეპეშებს უგზავნის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას და უკანონოდ სთვლის სახალხო არმიის გამოსვლას და მოუწოდებს ყველას არ დაემორჩილონ მას.

პეკინის პრესა კი მხურვალეთ ესალმება სახალხო არმიის გამოსვლას და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ სახალხო არმიამ დააგვიანა დუან-ცზი-ჩეუის ჩამოგდება, რომელიც ბოროტად იყენებდა სახალხო არმიის ნდობას. მას საიდუმლო კავშირი ჰქონდა უცხოელებთან და ეწეოდა მოღალატეობას.

პეკინის მთავრობის პრემიერმა—ჩია-ტე-იაომ და კაბინეტის სხვა წევრებმა თავი შეაფარეს უცხოელების საელჩოებს. რასაკვირველია, უცხოეთის იმპერიალისტები და მათი ჩინელი აგენტები ვერ შეურიგდებიან ამ გარემოებას და შეეცდებიან გაერთიანებული ძალებით შეუტიონ პეკინს და მის დამცველ სახალხო არმიას, რათა სავსებით გაანადგურონ ის და სისხლში დაახჩონ ჩინეთის რევოლუცია.

შეიძლება ეს ასე მოხდეს, მაგრამ ჩვენ ისიც გვჯერა, რომ საბოლოო გამარჯვება მაინც სახალხო არმიისაა, ვინაიდან მთელი ჩინეთის ხალხის თანაგრძნობა მის მხარეზეა.

ჩინელი ხალხის მიერ დაღვრილი სისხლი უშედეგოთ არ ჩაივლის.

ს. მ.

## ერთი საკითხის ირგვლივ.

„წითელ არმიელის“ რედაქციას ყოველ დღე მოსდის აუარებელი წერილები წითელ არმიელებისაგან. თითქმის ყველა წერილს სჭირდება დამუშავება, რომ შეიძლებოდეს მათი გაშვება გაზეთის ფურცლებზე. წითელ არმიელს, რომელიც იღებს ხელში კალამს და სურს დასწეროს ქაღალდზედ რაიმე შენიშვნა, ან ასწეროს ესა თუ ის მოვლენა თავისი ნაწილის, აქვს გარკვეული აზრი, მხოლოდ აკლია უნარი, რომ ეს აზრი გადაიტანოს ქაღალდზედ.

წითელ არმიელმა უმეტეს შემთხვევაში არ იცის წერა, მას ვასწავლით ანბანს, კითხვას, სხვა და სხვა საგნებს, მხოლოდ მხედველობიდან ვუშვებთ ზემო-აღნიშნულ გარემოებას.

წითელ არმიელნი ზეპირად კარგათ ითვისებენ თემებს, რომლებსაც გადიან პოლიტმეცადინეობის დროს, ერკვევიან მათში, მხოლოდ უძნელდებათ წერილობით გამოთქმა თავისი აზრის. ეს არის ზოგადი მოვლენა, მას სჭირია ყურადღების მიქცევა.

ერთ ერთ საშუალებათ აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად მიმაჩნია წერითი დავალებების მიცემა წითელ არმიელთათვის დასამზადებლად მეცადინეობიდან თავისუფალ დროს.

როგორც ვიცით, ეს მეთოდი არც ერთ ნაწილში არ არის შემოღებული და თუ არის, ამაზედ არავის არ ალუძრავს ლაპარაკი პრესაში *).

როდესაც პოლიტმეცადინეობაზე გავდივართ რაიმე თემას, მაგალითად „წითელი არმიის ისტორია“, შეიძლება შერჩევა შემდეგი საკითხების დავალებებისათვის „რისთვის გვჭირია შეიარაღებული ძალა“, „რისთვის იბრძვის წითელი არმია“ და მრავალი სხვა.

დავალება, რომელსაც მივცემთ წითელ არმიელს, არ უნდა იყვეს რთული, გაუგებარი და დიდი. შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი დავალება, რომლის ასრულება და დაძლევა ძალ-უძს წითელ არმიელს. აქ საჭიროა გაეწიოს ანგარიში წითელ არმიელის ინდივიდუალურ განვითარების დონეს და მის უნარიანობას.

როდესაც წითელ არმიელი წარმოადგენს დამუშავებულ დავალებას, იგი გასინჯულ უნდა იქნეს საჯაროდ, შესწორებული შინაარსის და სტილის მხრივ, რათა არ შევაჩვიოთ წითელ არმიელი ცუდ წერას.

უნდა ვადევნოთ თვალ-ყური, რომ წითელ არმიელმა უეჭველად შეასრულოს დავალება, დავეხმაროთ მას პირველ ხანებში დავალების შესრულებაში რჩევით, დარიგებით. კარგათ შესრულებული დავალება გამოკიდებულ იქნეს დაფაზე, რათა სხვა წითელ არმიელებს ჰქონდეთ საშვალება გაეცნონ მას და ისარგებლონ მით.

ამ გზით უეჭველია, დავეხმარებით წითელ არმიელს სწორი წერის შესწავლაში, რაც უეჭველია დიდათ გამოადგება მას შემდეგ მუშაობაში.

*) ვთხოვდი ჩვენ პოლიტხელებს გამოეთქვათ თავისი აზრი ამ საკითხის ირგვლივ.

ან თუ ვისმეს უკვე ჩაუტარებია ამ გვარი მუშაობა, გაუზიაროს სხვა ამხანაგებს თავისი შენიშვნები და გამოცდილებები.

ე. ხუციშვილი.

## ცხენოსანთა გამოყენება მომავალ ბრძოლებში.

გასულ იმპერიალისტურ ომმა ბევრი სხვა და სხვა ამოცანა წამოაყენა ცხენოსან ნაწილის წინაშე, ბევრად შესცვალა როგორც მისი მოქმედების ილეთები, აგრეთვე თვით მისი გამოყენება ბრძოლის ველზე.

დღეს ცხენოსანი ნაწილი ითვლება დაზვერვის უკეთეს საშუალებად. ის აწარმოებს ეხლა მარტო ბრძოლის ველის დაზვერვას, ვინაიდან შორეულ დასაზვერავათ მისი გამოყენება შესცვალა ავიაციამ.

უმთავრესათ კი ბრძოლის ველზე ის ზვერავს ტყიან ადგილებს და დაბა სოფლებს, რომელთა დაზვერვა ჰაერიდან მეტად ძნელი არის. უკანასკნელი გერმანელების შეხედულებაა: —კავალერია არის ცეცხლის ჩქარი გადამტანი საშუალება; მეტად უნდა ფასდებოდეს ტყვიამფრქვევი და ცხენოსანთა არტილერია ფარდე—ცხენოსანის ხმალით. ასეთი შეხედულება და გამოყენება ცხენოსნებისა მოითხოვს, რათა ის ტეხნიკის საშვალებით გაძლიერებული იქნას, ხოლო ეს გაძლიერება კი უნდა იმდენათ, რამდენადაც ის არ ავნებს ცხენოსნების მოძრაობას. ამის და მიხედვით ცხენოსან ნაწილს აიარაღებენ ცხენოსან არტილერიით, ტანკებით, ჰაეროპლანებით და რაც მეტი მნიშვნელოვანია, ბევრი რიცხვი ტყვიამფრქვევებით. ამასთან ცხენოსნები შეუდარებელი ძალაა გადამწყვეტ წერტში საერთოდ. ერთი სიტყვით, ცხენოსან ნაწილებისთვის არ არსებობს ისეთი შაბლონური, ანუ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი წესი მოქმედებისა, როგორც ეს საერთოდ სამხედრო საქმეში. გარდა ზემოჩამოთვლილ მოქმედებისა, ცხენოსანთა მოხმარა ბრძოლის ველზე მრავალ გვარია. თვით ბრძოლის ველზე ცხენოსნებისათვის ბევრი პატარ-პატარა ამოცანები იქნება შესასრულებელი, რომელსაც თვით ბრძოლის მსვლელობა უკარნახებს მათ.

საერთოთ კი ომის შემდეგ, ცხენოსანთა ნაწილების საკითხის ირგვლივ დიდი განგაში ასტყდა. ბევრი ამტკიცებდა იმ აზრს, რომ ცხენოსნები სრულებით არ არის საჭირო. ამის დასამტკიცებლათ ისინი ამბობდენ, რომ ეხლანდელი ცეცხლის ძალა ისეთია, რომ ცხენოსნებს არ ეძლევა საშვალება სრულებით გამოჩნდენ ბრძოლის ველზედ. შემდეგ მოყავდათ მაგალითისათვის სანგრები, მავთულები და სხვა და სხვა სიმაგრეები პოზიციაზე, რომელთა გადალახვა ცხენოსნებს არ შეუძლიათ. ცხენოსანთა ნაწილების ასეთ დაფასებას ჩვენ ვხედავთ ისეთი სახელმწიფოების სამხედრო მწერლების მხრივ, რომელთაც გასულ ომში ყავდათ უამრავი ცხენოსანი ჯარი, მაგრამ ვინაიდან მეთაურთა მომზადება დაბალი იყო, მათ ვერ შესძლეს ცხენოსანთა გამოყენება და იმდენი ცოცხალი ძალა გამოუყენებელი დარჩა ბრძოლისათვის.

ცხენოსანი ჯარის მნიშვნელობა არ გამქრალა და არც დასუსტებულა საერთო ბრძოლისათვის, არამედ მისი მოქმედების ხასიათის შეცვლით, მისი ტეხნიკის გაძლიერებით, გაძლიერდა მისი მნიშვნელობაც; ეს მით უფრო მანევრულ და ისეთ მტერთან ბრძოლაში, რომელიც ჩვენზე ძლიერია ტეხნიკით, ვინაიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ცხენოსანთა ნაწილი არის ცეცხლის ჩქარი გადამტანი საშვალება—და აქედან ის სხვასთან ერთად, გადამწყვეტ მომენტში, იძლევა საშვალებას თავის დროზე შევქნათ მტერზე უძლიერესი ძალა. ეს კი გამარჯვების ერთად-ერთი და უპირველესი თავდებია.

დ. მელაძე.

## ტანკების დანიშნულება.

ტანკების მოხმარება დიდათ დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე. ამისათვის ის იხმარება იქ, სადაც ადგილმდებარეობა მისთვის დასაძლევია და სადაც მის მონაწილეობას შეუძლია გაადვილება და დახმარება ქვეითების შეტევაზე.

როდესაც ქვეითა ნაწილი აწარმოებს შეტევას უკვე გამაგრებულ მტრის სანგრებზე, ტანკები მიდიან ქვეითების წინ, ადივლიან ყოველივე ხელოვნურ დაბრკოლებებს, შემდეგ შედიან თვით სანგრებში, ამტვრევენ სანგრებში ქვემეხებს და ტყვიამფრქვევებს, რითაც არევ-დარევას შეიტანენ მტრის ბანაკში.

თუ კი ტანკების მოქმედება კარგად შეთანხმებული იქნება ქვეითების შეტევაზე, მაშინ ეს უკანასკნელი იძლევა დიდს შედეგებს. ქვეითების წინამსვლელი ტანკების ჩქარი გაშლით და მათი მტრის სხვა და სხვა უბანში შეტაკებით უნდა ხელმძღვანელობდეს ქვეითა ნაწილი შემოსაკრავად დაჯგუფებისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც მტრის ფრონტი გავსტეხეთ რომელიმე ადგილას, ან ვდევნებით უკან დახეულ მტერს, ე. ი. მიღწეულ გამარჯვების ექსპლოატაციისათვის ტანკი არის დაუფასებელი იარაღი. ტანკების საშვალებით შესაძლებელია უკან დახეულ მტერს მოუარო თავში და ყოველივე გზა—ხიდების აოხრებით, არ მისცე საშვალება სათანადო წესით უკან დახევის.

მასთანვე, ჩვენი უკან დახევის დროსაც ტანკი დაუფასებელი იარაღია, ვინაიდან მისი საშვალებით ჩვენ შეგვიძლია მტრის მოდევნა შევაფერხოთ და ამით კი წესრიგით დავიხიოთ და არ მოგვიხდეს ნაწილებში არევ-დარევა.

ორ მოპირდაპირე ტანკთა ურთი-ერთ ბრძოლაში მათი მანევრიულ უნარიანობას აქვს დიდი მნიშვნელობა.

ტანკებს შეუძლია დაფარონ მტრისაგან თავისი ქვეითა ნაწილები კვამლის ფარდით. კონტრ-იერიშების დროს ტანკები მეტის სისწრაფით იჭრებიან მტრის სანგრებში და ქვეითებთან ერთად ამოლოვებენ ბრძოლას, რასაც მეტად უადვილებენ ისინი ქვეითებს.

ტანკი მტრის სანგრებში მოქმედების განმავლობაში არც-ერთ წუთს არ შედგება, სულ მოძრაობს; ხოლო როგორც კი მტრის წინააღმდეგობა შეწყდება და დაკავებული პოზიცია ჩვენი ქვეითების მიერ საიმედოთ შენარჩუნებულია, ტანკები ბრუნდებიან უკან.

ამრიგად—ტანკების მოქმედება სრულიად დაკავშირებულია ქვეითების მოქმედებაზე. ტანკების მიერ განქვეითებისგან ცალკეებული იერიში შეუძლებელია. ტანკების ტაქტიკა არის დღევანდელი ქვეითა ჯარის ტაქტიკა.

ტანკა ან მიილტვის იერიშზე, ან მიყვება ქვეთს გვერდით. ორივე შემთხვევაში იფარავს მას მტრის ცეცხლისაგან.

დ. მელაძე.

## მაღაროს მუშათა ერთსულოვნობა

მაღაროს მუშათა საერთაშორისო გაერთიანების აღმასკომი იწვევს მიმდინარე კვირაში კრებას, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს ბელგიის ნახშირის შემოტანის ინგლისში ბრიტანეთის მაღაროს მუშათა გაფიცვების შემთხვევაში.

## ბრძოლა სირია-ირაქის საზღვარზე.

აჯანყებულ სირიელების რაზმმა გადალახა საზღვარი სირიასა და ირაქს შორის და შეუტია ირაქის საზღვრებში მყოფ ტომებს. უკანასკნელებმა ჯავშნიანი ავტომობილების და საჰაერო ძალთა დახმარებით მოიგერიეს შეტევა.

## საბჭოთა კავშირში

### კომკავშირის შეფობა წითელ ფლოტზე.

საკავშირო ლენინურ ახკომკავშირის ცეკამ დაადგინა 15 მაისიდან 17 მაისამდი ჩატარებულ იქნას კამპანია წითელ ფლოტზე შეფობის განმტკიცების კამპანია, სადაც უნდა აეხსნას მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას წითელი ფლოტის მნიშვნელობა და ამოცანები.

## სამხედრო სწავლება სამოქალაქო სკოლებში.

სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებლებსა და მეორე საფეხურის სკოლებში სამხედრო სწავლების შემოღების საქმე ამჟამად გამოვიდა მოსამზადებელ მუშაობის საფეხურიდან, რომელშიაც იმყოფებოდა ნახევარი წლის განმავლობაში. დღეს აღნიშნულ სკოლებში სამხედრო მომზადების საქმე სერიოზულ ამოცანად სდგას ორ სახალხო კომისარიატის—განათლებისა და სამხედრო—საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატების წინაშე. რასაკვირველია, ცოტად თუ ბევრად, აქ დაინტერესებულია სხვა კომისარიატებიც, როგორც მაგალითად, გზათა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები და უმაღლესი სამეურნეო საბჭო, ვინაიდან მოსწავლეთა სამხედრო მომზადება სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებლებში მიიზიდავს სხვა და სხვა სპეციალისტების ფართე კადრების ქვეყნის სამხედრო მდგომარეობაზე გადასვლისას. ეს ამოცანა საკმაოდ რთულია და, უეჭველია, გამოიწვევს მთელ რიგ საორგანიზაციო და პრაქტიკულ დაბრკოლებებს, განსაკუთრებით, მისი განხორციელების დასაწყისში.

არის კიდევ ერთი პოლიტიკური თავისებურება ამ საკითხში, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ. თეთრ-გვარდიელთა და საერთოდ უცხოეთის პრესა გაჰკივის დღეს ყველა გზაჯვარედინზე საბჭოთა მილიტარიზმის ზრდის, „წითელი იმპერიალიზმის“ შესახებ და სხვა.

ყოველი ცოტად თუ ბევრად პოლიტიკურად მომზადებულ ადამიანისთვის ბურჟუაზიულ ქვეყნების ასეთი გამოსვლები გასაგებია. ჩვენ ვიცით, რომ ამ ბრალდებით ბურჟუაზიული ქვეყნები სცდილობენ დაჰფარონ და გაამართლონ თავიანთი შეიარაღების ზრდა, თავიანთი არმიების გაძლიერება ტეხნიკით.

მაგრამ ჩვენც ვიცით, რომ ერთხელ გამარჯვებული რევოლიუცია ყოველთვის მზად უნდა იყოს არა მარტო ბრძოლისთვის, არამედ გამარჯვებისთვისაც თავის მონაპოვართა შეიარაღებულ დაცვაში. „ჩვენ პაციფისტები არა ვართ,—ამბობდა ლენინი—ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმპერიალისტური ომებისა და მტაცებლებს შორის ნადავლის განაწილების, მაგრამ ჩვენ სისულელეთ ჩავთვლიდით, თუ რომ რევოლიუციონური პროლეტარიატი უარს იტყოდა რევოლიუციონურ ომებზე, რომლებიც აუცილებელი საჭირო იქნება სოციალიზმის ინტერესებისთვის“.

საბჭოთა მასებს და, განსაკუთრებით, არმიის, კარგად უნდა ესმოდეთ, რომ თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოში, ხოლო განსაკუთრებით კი ამერიკაში, მოსწავლეთა სამხედრო მზადება სამოქალაქო სასწავლებლებში უკვე რამოდენიმე წელიწადია სწარმოებს. მართალია იქ ამას „მორცხვად“ უწოდებენ „უმაღლეს წვევამდე მომზადებას“ (საფრანგეთი), მაგრამ ამ მუშაობის დედა აზრი მისი ძირითადი იდეა მდგომარეობს თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის კადრების შექმნაში.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ შეიარაღებულ ხალხზე, ხალხის დროიანად მომზადებაზე თავდაცვისთვის, რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბრძოლა არა კოლონიებისა და ბაზრების დაპყრობისთვის, არამედ ჩვენი რევოლიუციონურ მონაპოვართა დაცვა.

სამოქალაქო უმაღლეს და მე-2 საფეხურის სკოლებში სამხედრო სწავლების შემოღებით ჩვენ გვინდა პირველყოვლისა თადარიგის მეთაურთა კადრების მომზადება, რომლებიც, დღევანდელ მდგომარეობაში, არ იქნება საკმარისი ჩვენი არმიისთვის საჭირო დროს. თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის საკითხი, ყველა სახელმწიფოებს, გერმანიის ჩათვლითაც კი, ცუდად ჰქონდათ დაყენებული წარსულ იმპერიალისტურ ომში. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ომის ბოლოს მეთაურთა შემადგენლობა რუსეთის არმიას დასჭირდა 300 ათასი კაცის, ხოლო საფრანგეთის არმიას—200.000 კაცის რაოდენობით.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა მოუმზადებელი ვართ ჩვენ ამ მხრივ.

ჩვენი ნორმალური სკოლებიდან მორიგი გამოშვებითაც კი რამოდენიმე წლის განმავლობაში არ შეგვიძლია შევქმნათ ჩვენ თადარიგის მეთაურთა აუცილებელი საჭირო რეზერვები.

„დადგენილება მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში იმ პირთა მდვნაილ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, რომელთაც გაუთავებიათ მუშათა ფაკულტეტები, მეორე საფეხურის სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები“ და საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს ბრძანება № 1323, 1924 წლის 24 ოქტომბრიდან,—იმ პირთა შესახებ, რომელთაც აქვთ საექიმო განათლება, ითვალისწინებს თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის მომზადებასა და შევსებას აღნიშნულ პირთა მიერ შემოკლებულ ნამდვილ სამხედრო სამსახურის გავლის მომენტში.

ამრიგად, საკითხი თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის და სხვა და სხვა კატეგორიის სპეციალისტების გადიდების შესახებ, როგორც არმიაში, ისე მარაგში, ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება საბჭოთა კავშირისათვის.

ნ. ა—კო

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ჩვენ შევასრულებთ ამ რჩევა-დარიგებას.

**1-ლი ლეგიონი.**

ამ დღეებში ლეგიონი ინახულა პირველი დივიზიის სამხედრო კომისარმა ამხ. კვირიკაძემ, რომელიც დაწვრილებით გაეცნო ნაწილის ყოფა-ცხოვრებას და გაიგო წითელარმიელების მდგომარეობა.

ამას გარდა ამხანაგი ესწრებოდა დილ-დილაობით ლეგიონში წარმოებულ პოლიტ-მეცადინეობას, რომლის ჩატარებაში თვითონაც ღებულობდა მონაწილეობას, რაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა წითელარმიელებში.

გვესტუმრა აგრეთვე საღამოს საუბრის ჩასატარებლად. მან თვითონ დაიწყო ლენკუთხეში საუბრის ჩატარება. მან დალაგებულად გასაგები ენით ბევრი რამ საყურადღებო გვიამბო. საუბარმა გასტანა თითქმის 2 საათს. ყველა შეკითხვებზე, რომელსაც აძლევდენ წითელარმიელები, გარკვევით უპასუხებდა. დასასრულ ამხანაგმა მიგვითითა მრავალ ნაკლულოვანებებზე და მოგვიწოდა მათი გამოსწორებისაკენ.

ჩვენც ფიცს ვდებთ ჩვენი ხელმძღვანელის წინაშე, რომ შევასრულებთ მის მოწოდებას ქართული წითელი არმიის საკეთილდღეოდ.

ლეგ. მე-4 ასეულის წით.-არმიელები.

## ავიაქიმის მუშაობა ჩვენთან.

**1-ლი ცალკე საკ. ასეული.**

უკვე რამოდენიმე ხანია რაც ხსენებულ ნაწილში, ჩამოყალიბებულია ავიაქიმის წრე, რომლითაც ბევრი წითელ არმიელები არიან დაინტერესებული და ძიდეც აწარმოებენ შეფერ მუშაობას. სამწუხაროდ არა გვყავს სათანადო ინსტრუქტორი, რის შესახებაც მივმართეთ ვისაც ჯერ არს, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიგვიღია.

სასურველი იქნება, რომ ამ საქმის მცოდნე ვინმე მოხსენებას გაუკეთებდეს ხსენებულ ნაწილს, რათა ისედაც დაინტერესებული წითელ არმიელები უფრო დაინტერესდენ და უფრო ნაყოფიერი მუშაობა ვაწარმოოთ ამ მნიშვნელოვან საქმეში.

სამხკორი მ—ნო.

## ჩვენი სამხედრო წრე.

**წერილი ჯავახეთიდან.**

ქალ. ახალქალაქში არსებობს ქართული კომკავშირის უჯრედი, რომელშიდაც გვაქვს დაარსებული სხვა და სხვა წრეები, მაგრამ ამათში უფრო აღსანიშნავია სამხედრო წრე, სადაც ვესწრებით როგორც კომკავშირელები, ისე უპარტიო ამხანაგებიც.

წრის ხელმძღვანელად გვყავს წითელი მეთაური ამხ. სერგო ალტარქალიშვილი, რომელიც მუშაობს ერთგულად და თავისი მუყაითური და დაუღალავი ენერგიით ბევრი რამ შეგვძინა.

მისივე ხელმძღვანელობით დაარსებული იქმნა სამხედრო წრე. ამხანაგი დაწვრილებით გვიხსნის თითეული იარაღის ნაწილის მნიშვნელობას. ხშირად პრაქტიკულადაც ვაწარმოებთ მეცადინეობას.

გავეცანით აგრეთვე სამხედრო საქმეს და მის მნიშვნელობას, რაც ჩვენთვის დიდ აუცილებლობას წარმოადგენს.

ჩვენ ვეცდებით რაც ძალი და ღონე შეგვწევს ერთგულად მოვეკიდოთ სამხედრო მუშაობას.

ს. შეშაბერიძე.

## ტფილისის პარტსკოლა ჩვენთან.

**1-ლი არტლეგიონი.**

კავშირის მიზნით ამ დღეებში მოვიდენ ლეგიონში პარტსკოლის კურსანტები, რომლებსაც თან ახლდა სკოლის დრამატიული წრე. ამხანაგებმა თან მოიტანეს დიდი პლაკატი, რომელზედაც გამოსახული იყო წითელ არმიელისა და კურსანტის დაახლოება. გაიმართა საზეიმო კრება. დაესწრენ რუსულ ლეგიონის შემადგენლობაც. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ, როგორც კურსანტები, ისე წითელ არმიელები და ნაწილის მეთაურები. დასასრულ დადგეს პიესა რუსულ ენაზე, რომელიც მწყობრად იქნა ჩატარებული. გაშვებული იქნა აგრეთვე შუქის გაზეთი. მომღერალთა გუნდმა შეასრულა სხვა და სხვა სიმღერები. წითელ არმიელები ძლიერ კმაყოფილი დარჩენ წარმოდგენით.

მთელი ნაწილი მადლობას უძღვნის პარტსკოლის შემადგენლობას, რომელმაც არ დაიზარა ჩვენთან მოსვლა და საღამოს მოწყობა.

სამხკორი ა. არველაძე.

## ჩვენი საქმიანობა.

**მე-2 ლეგ. სკოლა.**

უკვე განვლო 4 თვემ მას შემდეგ, რაც აღნიშნულ ნაწილში დაიწყო მეცადინეობა.

დისციპლინის მხრით შეიძლება ითქვას რომ მე-2 ლეგ-სკოლა წინ დგას ყველა სხვა ნაწილებზე. არ ყოფილა დისციპლინის დარღვევის არცერთი შემთხვევა კურსანტების მიერ.

საზამთრო პერიოდში მეცადინეობის გეგმა სამხედრო დარგში გავლილი გვაქვს სრულად, რაიც კურსანტებს კარგად აქვთ შეთვისებული.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს ცალკე კლუბი, ჩვენ მაინც ვსარგებლობთ ლეგ-კლუბით და ხშირად მიდის ჩვენივე ძალებით წარმოდგენები და სხვა და სხვა ნაწარმოების გმირების გასამართლებები, როგორიც არის: „ქრისტინე", დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის" და სხვები, რომლებიც მუშავდება სკოლაში არსებულ თვით განვითარების წრეში.

ლენ-კუთხეში ყოველ საღამოობით ტარდება გაზეთების ხმა მაღალი კითხვა კურსანტების მიერ, რომლებიც ინიშნებიან მორიგეთ რიგ-რიგობით კუთხეში. კედლის გაზეთი წარმატებით ემსახურება თავის დანიშნულებას, ის არის გამომხატველი კურსანტთა ფართო მასის სულისკვეთების.

სკოლამ შეიძინა აგრეთვე ორი ბურთი. ამ მოკლე ხანში ჩამოყალიბდება სკოლაში ორი ფეხბურთელთა ჯგუფი.

ერთი უკვე არის შემდგარი. არა გვყავს მხოლოდ კულტგანმანათლებელი მუშაობის ხელმძღვანელები. არიან ორი პოლიტ-ლექტორები, რომლებიც აუარებელი საქმით არიან დატვირთული და რაც უმთავრესია თავის მოვალეობას შორდებიან. ამ მდგომარეობის გამო არ არის ჩამოყალიბებული სხვა და სხვა საკითხების შემსწავლელი ცალკე სექციები და სხვა.

სამხკორი კ. გაბუნია.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## პარტ. და საკავშირო სკოლების ხელმძღვანელების თათბირის შედეგები.

1 დივ. პოლიტ-განყოფილების თაოსნობით და ამხ. კოპაძის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა 11 აპრილს თბილისში მდგომ 1-ლ დივიზიის ნაწილების პარტ-სკოლების და კომკავშირის სკოლის ხელმძღვანელების თათბირი. თათბირის დღის წესრიგში იდგა სკოლების მდგომარეობის გამორკვევა, მათი მუშაობის შეფასება და ნაწილების გამოცდილების ურთიერთზე გაზიარება. ადგილებიდან მოხსენებებმა გამოარკვია ჩვენი ნაწილების გამოცდილება სკოლის მუშაობაში და ნათელყო შემდეგში მუშაობის გამოსაცოცხლებლად მისაღები ღონისძიებანი.

ნაწილების მუშაობა პარტ-სკოლის დარგში ჩათვლილ იქნა დამაკმაყოფილებლად, მხოლოდ მუშაობის შემდეგში გამოსაცოცხლებლად და შედეგების გასადიდებლად თათბირმა მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) მეთოდიურ დარგში: ა) ჩამოყალიბებული იქნას სადაც არ არსებობს მეთოდიური კომისიები სკოლის (სკოლის მეთოდიური საბჭო) და გაძლიერებულ იქნას მუშაობა კომისიის სკოლაში მეცადინეობის მეტი ნაყოფიერებისათვის. ბ) სწარმოებდეს თემების კოლექტიური დამუშავება ხელმძღვანელების მიერ. გ) მეცადინეობის დროს გამოყენებული იქნას აქტიური თვით-მოქმედების მეთოდი, როგორც 1 საფეხურის პარტ-სკოლაში ისე კომკავშირის სკოლებში. დ) უდიდესი ყურადღება მიექცეს თვალსაჩინოების გამოყენებას მეცადინეობის დროს როგორიცაა: დიაგრამები, სქემები და სხვა დამხმარე საგნები, რომლებიც გააადვილებს თემის შეთვისებას მსმენელებში. ე) მეთოდიური წერილების გადმოგზავნა ქართულ ნაწილებში რუსულ ენაზე ნაყოფს ვერ იძლევა, იმიტომ, რომ ხელმძღვანელები ვერ იყენებენ რუსული ენის უცოდინარობის გამო, ამიტომ თათბირს საჭიროთ მიაჩნია დივიზიის პოლიტ-განყოფილების მიერ ითარგმნებოდეს ქართულ ენაზე მეთოდიური წერილები და ისე ეგზავნებოდეს ნაწილებს. ვ) სკოლის ხელმძღვანელების უმრავლეს ნაწილს ნაკლები გამოცდილება აქვს მეცადინეობის მეთოდის გამოყენებისთვის, ამიტომ ეწყობოდეს ნაწილში სკოლის ხელმძღვანელის მიერ სანიმუშო (საჩვენებელი) გაკვეთილის გადაცემა, რომელსაც უნდა დაესწრონ სკოლის ყველა ხელმძღვანელები და ამისათვის დღე შერჩეული იქნას სამეცადინო დღის გარეშე. ზ) მჭიდრო კავშირი იქნას შექმნილი ლეგიონში თვით განვითარების კომისიასა და სკოლის მეთოდიურ კომისიას შორის, რითაც ურთიერთ გამოცდილების გაზიარებით ღრმავდეს მუშაობა ამ დარგში.

2) დამოუკიდებელ მუშაობის დარგში.

ა) ახსნილი თემის დამახსოვრების მიზნით სკოლის ხელმძღვანელმა მოახდინოს მთავარი აზრის ჩაწერა რვეულებში ციტატების, ლოზუნგების ან თეზისების სახით. ბ) ეძლეოდეს კოლექტიურად წევრებს შემდეგი მეცადინეობის გასატარებელ თემიდან მთავარი შეკითხვა, რის შესახებ ხდებოდეს სკოლის წევრების წინასწარი სამზადისი. გ) ხელმძღვანელის მიერ ხდებოდეს წინასწარ თემის ჩატარებამდე ბიბლიოთეკიდან ან რაიმე საშვალებებიდან თემის დამხმარე ლიტერატურის მიწოდება სკოლის წევრებზე. დ) თათბირს საჭიროთ მიაჩნია გაძლიერებულ იქნას დამოუკიდებელ მუშაობის გასაღრმავებლად ლიტერატურის მიწოდება და გამრავლება ქართულ ენაზე, რაც უნდა ხდებოდეს პოლიტ-განყოფილების ხელმძღვანელობით. ე) თათბირი იწონებს 1 საარტილერიო ლეგიონის პარტ-სკოლის მიერ ჟურნალ „პარტიული განათლების" გამოშვებას და ამ მიზნით ავალებს ყველა ნაწილებმა შეეცადონ თავიანთ სკოლებში ჟურნალის შექმნას. ჟურნალის გამოშვება არ უნდა გახდეს მეცადინეობის საათების წართმევის მიზეზად.

3) აღრიცხვის დარგში.

ა) თათბირმა აღრიცხვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო და საჭიროთ სცნო მისი შესაფერ სიმაღლეზე დაყენების აუცილებლობა. ბ) უდიდესი ყურადღება მიექცეს მსმენელების გააქტივებას, მეთოდის შეცვლას, წევრების უყურადღებობას და დამოუკიდებელ და არა დამოუკიდებელ მუშაობის წარმოებას აღრიცხვის დროს სკოლის წევრებთან.

თათბირმა საჭიროთ სცნო მეთოდიური კომისიების სხდომების მოწვევა თვეში ორჯერ. აგრეთვე თათბირმა ხაზი გაუსვა სკოლის ხელმძღვანელების განტვირთვის საქმეს მუშაობის თავის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის.

სამხკორი ტ. მამალაძე.

**1-ლი საკავშირო ასეული.**

ერთ თვეზე მეტია რაც ასეულში დაარსდა პარტსკოლა. სკოლაში ჩაწერილია 35 ამხანაგი. მეცადინეობა დაარსების დღიდანვე შეუჩერებლივ მიმდინარეობს. სკოლა დაყოფილია 1-ლ და 2-რე საფეხურის სკოლებად, კურსანტების ცოდნისდა მიხედვით. ხელმძღვანელად ითვლება ასეულის სამხედრო კომისარი მეცადინეობა ტარდება ოთხჯერ თვეში, ყოველ ორშაბათობით. ამ ჟამად ვამუშავებთ და ვსწავლობთ მეთოთხმეტე პარტყრილობის რეზოლიუციებს. ამხანაგები დიდი ენერგიულობით ეკიდებიან მეცადინეობას. ხშირია კამათი ამა თუ იმ კაკითხების გარჩევის დროს.

ყოველგვარი იმედებია იმისა, რომ მეცადინეობა დიდ ნაყოფს მოიტანს ჩვენს ნაწილში. ამის საწინდარია ამხანაგების გულმოდგინეობა.

სამხკორი დ. ვაჩეიშვილი.

# ლენინის კუთხე ასეულში.

**ცნობათა მაგიდა.**

ცნობათა მუშაობას ლენკუთხეებში უმრავლეს შემთხვევებში არ აქვს თავისი სახე. მთელი ცნობათა მუშაობა გამოიხატება იმით, რომ შემოღებულია კითხვა-პასუხის რვეულები და შეკითხვებისათვის ყუთები. ინტერეს მოკლებული არ იქნება თუ ჩვენ აქ დავასახელებთ ერთ-ერთ ჩვენ საარტილერიო ლეგიონის ბატარეის ლენკუთხეში წარმოებულ ცნობათა მუშაობას, რაც სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს. ცნობათა მუშაობისათვის შემოღებულია განსაკუთრებული მაგიდა. გაკრულია განცხადება იმ კითხვების ჩამოთვლით, რომლის შესახებ შეუძლია ბატარეის ცნობათა ბიუროს მისცეს წითელ არმიელს ახსნა-განმარტება და დარიგება.

აგრეთვე მოთავსებულია იმ ამხანაგთა სია, რომელნიც შედიან ცნობათა ბიუროში, რის შემდეგ წითელ არმიელმა იცის, თუ ვის უნდა მიმართოს საჭირო შემთხვევაში ცნობის მისაღებად. ცნობათა ბიუროში განცხადების მიცემის შემდეგ აღნიშნულ ბატარეის წითელ არმიელს აღარ დასჭირდება ცნობათა ბიუროს წევრების ძებნა, რადგანაც მოკლე ხნის განმავლობაში ლენკუთხეებში თავსდება ცნობათა ბიუროს განცხადება, რომ ამა თუ იმ წითელ არმიელის განცხადების თანახმად მიღებულია ესა თუ ის ზომები. ყოველივე ზემოდჩამოთვლილის გარდა შემოღებულია მორიგეობა ლენკუთხეში ცნობათა ბიუროს წევრებისა.

**წიგნის გავრცელება ლენკუთხეში.**

ასეთი მუშაობა ჩვენ ლენკუთხეში ჯერ თითქმის არ დაწყებულა, მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი ხაზი არის მიღებული მთელი წითელი არმიის მასშტაბით.

ერთ-ერთ პოლიტხელმა ლენკუთხეში წიგნის გაყიდვა აღიარა „ნეპ"-ის გადახრად და კომუნიზმის იდეის დამახინჯებად. კიდევ არიან ზოგი ამხანაგები, რომელნიც აგრეთვე ამას ფიქრობენ. ცხადია, რომ ასეთი „იდეალური" შეხედულება ეწინააღმდეგება ჩვენ საქმიანობას და სინამდვილეს. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყოველივე შემთხვევით რათა მიუახლოვოთ წიგნი თავის მკითხველს, მეტადრე ისეთ მკითხველს, როგორიც არის წითელ არმიელი, რომელსაც წერა-კითხვის შეძენის შემდეგ ყველაფერი აინტერესებს. დღევანდელი წიგნის მყიდველი წითელი არმიელი სოფელში დაბრუნების შემდეგ აუცილებლად წიგნის გამავრცელებლად გადაიქცევა, რის გამო ჩვენ ამ მოსაზრებით ლენკუთხეში არა მარტო უნდა ვაწარმოოთ წიგნის გაყიდვა და გავრცელება, არამედ თვით წითელ არმიელს ვასწავლოთ ეს საქმე, წიგნის გაყიდვის და გავრცელების პროცესი და მეთოდები, რათა შემდეგ მან ამ დარგში მიღებული ცოდნა და გამოცდილება გადაიტანოს წარჩინებით სოფელში.

ასეთივე წესით უნდა სწარმოებდეს ლენკუთხეების საშვალებით სხვა და სხვა გაზეთების გამოწერა, რისთვისაც გამოყოფილი უნდა იქნეს ერთ-ერთი ამხანაგი, სასურველია წითელ არმიელი.

სამწუხაროდ ეს საქმეც აგრეთვე მოისუსტებს ჩვენ სინამდვილეში, რადგანაც არ არის წარმოდგენილი ცალკე მომუშავეთა მიერ ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა. სრულიად უმნიშვნელო ნაწილი წითელ არმიელებისა იწერს გაზეთს „წითელ არმიელ"-ს. ასეთივე მცირე რაოდენობით იწერება წითელ არმიელთა მიერ გლეხური ლიტერატურაც, განსაკუთრებით გაზეთი „ახალი სოფელი". ყოველივე ამას უნდა გაეწიოს ანგარიში ლენკუთხის მიერ თავის მუდმივ მუშაობაში, რათა წითელ არმიელების გრძელვადიან შვებულებაში გაშვების წინ საგრძნობი მათი ნაწილი გახდეს გაზეთების აქტიურ ხელის მომწერლებად, რათა შემდეგში დაბრუნდნენ სოფელში პოლიტიკურად ამაღლებულნი.

ი. რუდოვსკი.

## რად უნდა ხდებოდეს ასე?

გარნიზონის ამბულატორიაში საექიმო კომისიაში გასატარებლად მრავალი ავადმყოფი წ/არმიელები და უფუძელბგენლობა მივდივართ სხვა და სხვა ქართულ და რუსულ ნაწილებიდან. ზოგი ჩვენთაგანი ძლიერ დასუსტებულია ამა თუ იმ სნეულებით და სასწრაფოდ მოითხოვს საექიმო დახმარებას, მაგრამ დახმარებას ძლიერ დაგვიანებით ვღებულობთ.

პირველად პუნქტზე გამოცხადებისას გვწერენ რიგში, მერმედ ხდება რიგის რამოდენიმეჯერ გადადება და ამგვარად ორი—სამი კვირით გვიხდება ლოდინი სანამ საექიმო დახმარებას მივიღებდეთ. ეს ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჰგდებს ავადმყოფ წ/არმიელებს.

გვიხსენით ასეთი მდგომარეობიდან.

წ/არმიელი მართაშვილი.

## უნდა ვინახულოთ.

1-ლი საკავშირო ისეული.

ჩვენი წითელ არმიელები დიდათ დაინტერესებული არიან საქსოვი ქარხნის დათვალიერებით. საჭიროა ეს სურვილი შესრულებული იქნეს, რადგან დიდი დრო აღარ დაგვრჩენია. რამოდენიმე დღის შემდეგ გავალთ ბანაკში, სადაც უნდა დავყოთ ოთხი თვე.

ჯერ თამბაქოს ქარხნის დათვალიერებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამხანაგები ვიცნობდით ქარხანას.

საქსოვი ქარხანა ბევრი ამხანაგებისათვის უცნობია. დიდ დროს არ წაიღებს ჩვენი იქ მისვლა და მისი დათვალიერება. წითელი არმიელები დიდი სიხარულით მოელიან იმ წუთებს, როდესაც გავეშურებით საქსოვ ქარხნისაკენ და ვინახულებთ ქუთაისის თვალს.

სამხედრო დ. ვაჩეიშვილი.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## ახალი ამბები.

გამოვიდა და ნაწილებს დაურიგდება სამხედრო—სარედ. კომისიის გამოცემა „სროლის დროებითი წესდება“.

გამოვიდა ახალი წიგნი: „ქვეითი ჯარის დროებითი საბრძოლო წესდება“ ნაწ. პირველი შევსებული და შესწორებული გამოცემა.

ტფ. აღმასკომი იმუშავებს სავალდებულო დადგენილებას ტრამვაის რონოდებში პაპიროზის მოწევის აღკრძალვის შესახებ.

„ტფილისის მაუწყებელი“. ტფ. ამასკომმა დაადგინა გამოსცეს ჟურნალი „ტფილისის მაუწყებელი“.

მილიციის დღესასწაულის ჩასატარებლათ აღმასკომმა გადასდო 2 ათასი მანეთი.

ტფილისის მაზრის აგარაკებზე წელს მოაგარაკეებს დაეთმობათ 1100 ოთახი.

დოლი. დოლის სეზონი ტფილისში გაიხსნება 18 აპრილს.

გუთნების მიღება ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ დღეებში გერმანიიდან მიიღებს 150 ცალ ახალ გუთანს.

## ამბები სოფლებიდან.

სენაკის აღმასკომმა დაადგინა გაგზავნოს ტეხნიკოსი ბანძის თემში გზების შეკეთების მიზნით გლეხების სახელმძღვანელოთ.

ხიდის ასაგებათ. ნაგვაზაოს თემში ხიდის ასაგებათ სენაკის აღმასკომმა გადასდო ასი მანეთი.

საექიმო პუნქტი. თელავის აღმასკომმა დაადგინა საექიმო პუნქტი გადაიტანოს ახალსოფლიდან სოფ. ახალ გავაზში.

ბორჩალოს აღმასკომმა დაადგინა ჩამოიაროს ყველა თემაღმასკომები და მოახდინოს მათი მუშაობის გამოკვლევა.

სოფლათ სხვა და სხვა სახის მუშაობის საწარმოებლათ ბორჩალოს სათემო აღმასკომებთან ეწყობა სხვა და სხვა სექციები.

სამხრ.-ოსეთის ცაკმა დაადგინა რაიონებში დაარსოს მოსავლის შემფასებელი საექსპერტო კომისიები.

## ს. ს. რ. კ. ელექტროფიკაცია.

2.000.000 ცხენის ძალა.

როგორ ტარდება ცხოვრებაში 1922 წელში ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში გამომუშავებული გეგმა საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის შესახებ?

მაშინ გადაწყვეტილი იქნა 15 წლის განმავლობაში აგებულიყო 30 ახალი რაიონული ელსადგურები, რომლებიც საერთოდ დაამუშავებდენ 2 მილიონი ცხენის ძალის ენერგიას. ამ წლიდან მსხვილი ელექტრო-აღმშენებლობა თანდათან იზრდება. 1928 წელში აღნიშნული გეგმის ერთი მესამედი სისრულეში იქნება მოყვანილი. მიმდინარე წელში ახალი ელსადგურები საერთოდ მოგვცემენ 200,000 ახალ ცხენის ძალის ენერგიას. 1932 წელში, როდესაც შესრულდება ელექტროფიკაციის შესახებ დეკრეტის გამოსვლის 10 წლის თავი, გეგმა მთლიანად უნდა იქნეს პირველ რიგში დასრულებული.

დღემდე ახალი ელსადგურების ასაგებად საბჭოთა კავშირს დახარჯული აქვს 200.000.000 მანეთამდე და მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ელექტრო-აღმშენებლობის წარმოებისათვის საჭირო იქნება კიდევ 500 მილიონი მანეთი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში დახარჯული თანხიდან სახელმწიფო აინაზღაურებს დასრულებულ ელსადგურების შამოსავლიდან 135 მილიონ მანეთს.

## უცხოეთის არმიებში

**როგორ იბრძვიან რიფები.**

რიფები არაჩვეულებრივი მხნეობით და თავგამეტებით აწარმოებენ ბრძოლას ფრანგების წინააღმდეგ. ამის მსგავსი მე ჯერ არაფერი მინახავსო—ამბობს მათთან ბრძოლაში ერთი მონაწილე ფრანგის ჯარის კაცი. იბრძვიან ისინი რაღაც თავისებურად. შეუძლებელია მათი შემჩნევა, მაგრამ ამავე დროს ისინი ყოველთვის ჩვენი ბანაკის გარშემო იმყოფებოდენ და ვაი მას ვინც გაბედავდა სანგარიდან ამოსვლას: ის შემდეგ ველარ დაბრუნდებოდა და ვერც ვინმე გაბედავდა წასულიყო მის დასახსნელად.

იბრძვიან ისინი ჯგუფურად 5-დან 10 კაცამდე, ხშირად უფრო ნაკლებიც არის თითეულ ჯგუფში. ფრანგები 6000-ანი რაზმებით, ტყვიამფრქვევებით და ზარბაზნებით შეიარაღებული დასდევენ ამ მცირე რაზმებს მთებში. 10-20 კაცისაგან, თოფებით შეიარაღებული რიფები ადვილად ახერხებდენ 1000-1500 კაცისაგან ფრანგების ნაწილის შეჩერებას და ხშირად რამოდენიმე დღითაც. უნდა იცოდეს კაცმა ეს ომი, რომ სავსებით წარმოიდგინოს მისი საშინელება.—მე ავწერ ერთი შეტევაზე გადასვლის შემთხვევას, რომლითაც უფრო ადვილად შეიძლება ამ საშინელების წარმოდგენა-ო ამბობს ის.

მთელი მაროკოს ტერიტორია მოფენილია სადარაჯოებით. თითეულის გარნიზონი შესდგება 13-დან 50 კაცამდე. ესენი—კვადრატებია ქვის კედლებისაგან აშენებული. სადარაჯოებზე ბლომად მოიპოება წყალი და სანოვაგე—უმთავრესად ექვსი თვის მარაგი. ამ ხნის განმავლობაში სადარაჯოს რაზმი თითქმის არც კი გამოდის გარედ. თითეული ექვსი თვის შემდეგ მოდის საზარგული, რომელსაც თან ახლავს ერთი და ხშირად ორი ბათალიონიც. მათი მიახლოებისას გარნიზონი გამოდის სადარაჯოებიდან და იცვლება სხვა ფრანგული რაზმით.

აჯანყების დროს რიფებმა ალყა შემოარტყეს ყველა ამ სადარაჯოებს, მათ მოუსპეს საშვალება გარეშე ქვეყანასთან კავშირის დაჭერის. საზრდო ილეოდა სადარაჯოებში. ბევრგან აღარ იყო წყალი, მაგრამ აქ ფრანგებს დიდი დახმარება გაუწიეს ჰაეროპლანებმა. ისინი მიფრინდებოდენ სადარაჯოებთან და მაღლიდან გადაისროდენ შიგ სანოვაგესა და ყინულს.

ერთი ასეთი სადარაჯო, რომლის გარნიზონი შესდგებოდა 50 კაცისაგან ცუდ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. ჩვენ ვცდილობდით გამოგვეყვანა ისინი ამ გაჭირვებიდან და მიგვეწოდებია მათთვის საზრდო და წყალი.

საღამოს, 9 სექტემბერს ასეულის რაიონის შემოვლის შემდეგ მე მოვახსენე ასეულის უფროსს, რომ ყველაფერი წესრიგზეა და წაველ ჩემს კარავში.

ბინაზე მისვლამდე დამეწია ასეულის უფროსის მდევარი და დამაბრუნა უკან. ასეულის უფროსმა გამომიცხადა, რომ ჩვენი ნაწილისათვის დაევალებიათ აღნიშნული სადარაჯოსათვის სანოვაგის მიწოდება. ეს ძნელი საქმე იყო, რადგან ათასი ფეხის ნაპიჯზე ბანაკზე დაცილებულ ფრანგ ჯარის კაცს სადღაც შეუმჩნევლად ამოუხტებოდა რიფი და წუთი სოფელს ასალმებდა. ღამით კი გაიხდიდენ ფეხს, რომ ხმაურობა არ გამოეწვიათ და თავს გვესხმოდენ ბანაკში. ხანჯლებით ჰკლავდენ ჯარის კაცებს.

(შემდეგი იქნება)

## პასუხი შეკითხვებზე

— მ. რენელს. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა სამხედრო მსახურის რჩენაზე მყოფნი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან.

— მასვე. სამოქალაქო ტანსაცმლის ტარება სამსახურის გარეშე შეუძლიათ საშუალო მეთაურიდან დაწყებული ზევით.

— ჯოხაძეს. უნდა მიმართოდ სახალხო სასამართლოს.

— ალავიძეს. არ გეკუთვნით.

— გურეშიძეს. მიმართედ ფოსტის უფროსს.

— სულთანიშვილს. წ. ა. ტყიდან მასალა უნდა მიეცეთ 25—75 პროც. დაკლებულ ფასებში. (საკავშირო ცაკის დადგენილება).

— მნარაშვილს. გეკუთვნით.

— ობოლს. თქვენივე ნაწილში შეგიძლიათ მოემზადოთ. გადმოყვანილი არ იქნებით.

— შარიქაძეს. ა. წ. შემოდგომაზე.

— ქოჩორას. ვერ გავიგეთ. მეცადინეობა გათავებული, თუ შესვენება იყო. გვაცნობეთ.

— ფაფაკერაშვილს. თუ ნაწილიდან უნებართვოდ იყავით წასული, უფროსს შეუძლია დაგაბრუნოს უკანვე ნაწილში.

— ფირცხალავას. შეუძლია, თუ შტატით დადებული არის.

— ნარსიას. სამსახურის სარგებლობისათვის დივიზიის უფროსის ნებართვით.

— მასვე. დახმარება არ მოგეცემათ.

— ვათიაშვილს. უნდა დაესწროთ ამოკითხვაზე.

— ხარებაშვილს. შეგიძლიათ, თუ ამით სხვას ხელს არ შეუშლით.

— ბარქაძეს. თმა მოკლედ უნდა გქონდეთ შეკრეჭილი.

— ბ—ძეს. რევოლვერის ტარება შეგიძლიათ, თუ ტაბულით არის დადებული.

— დემეტრაშვილს. თქვენს საკუთრებას თუ შეადგენს შეგიძლიათ გაყიდოთ. ძმას არავითარი უფლება აქვს, რომ შეგიშალოს ხელი.

— ჭიჭინაძეს. ნამდვილ სამხედრო სამსახურათ ჩაგეთვლებოდათ ორი წელი რომ გემსახურათ მოხალისეთ. თქვენ კი გიმსახურიათ ერთი წელი. უნდა იმსახუროთ როგორც სხვები, თქვენთან გამოწვეულები.

— ნადარეიშვილს. ერთი წლის სამსახურის შემდეგ შეგიძლიათ საშუალო მეთაურზე გამოცდების ჩაბარება.

— ხე—შვილს. სამხედრო ქიმიურ სკოლაში მიიღება უმცროს მეთაურთა შემადგენლობა (ბრ. №108—26წ.)

— ა—ძეს. სამხედრო საზღვაო სკოლაში მიიღებიან მწყობრისთვის გამოსადეგი მოქალაქენი, რომელთაც გათავებული აქვთ მეორე საფეხურის სკოლა.

— მგა—შვილს. თქვენს ოჯახს ყანის დამუშავებაში უნდა დაეხმაროს გლეხკომი (ბრ. №1520—24წ.)

— პ. ვ. ჯამაგირი უნდა მიიღოთ შტატის მიხედვით.

## ჩვენი ფოსტა.

ძინძიბაძეს (1-ლი ლეგ.), ცისპირელს (1-ლი ლეგ. სკოლა) და ბულბულს (3 ლეგ.) თქვენი კორესპონდენციები: „ავადმყოფობის ბუდე“, „მოსპეთ ნაკლულოვანებანი“ და „ 3 ლეგიონი“ გამოდგება კედლის გაზეთებისათვის.

მეხ-ს (1-ლი ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „5-თე ასეულის მეთაურის საყურადღებოთ“ არ დაიბეჭდება. თქვენ არ გაქვთ გარკვეული რას მოითხოვთ მეთაურიდან. წერილი სრულიად დაუსაბუთებელია.

წრომელს (1-ლი არტლეგიონი) თქვენი კორესპონდენცია ავადმყოფობის შესახებ გადაეგზავანა ლეგიონის სამხედრო კომისარს შესაფერი ზომების მისაღებათ.

ავადმყოფს (სამხ. გოსპიტალი), ტ. მამალაძეს (1-ლი არტლეგიონი), ხაბეიშვილს (ცხენ. ლეგ.) და ახობაძეს თქვენი წერილები „გოსპიტალი“ „რელიგიური პროპაგანდა“ და ნეკროლოგები ძლიერ უმნიშვნელონი არიან. არ დაიბეჭდება.

წ. არმ. ვალერის (6 ლეგ.) წერილი მამასახლისის შესახებ არ დაიბეჭდება. წითელ არმიაში თითეული მეთაური ვალდებული კეთილ-სინდისიერად შეასრულოს თავის მოვალეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ადგილი არა აქვს ჩვენს რიგებში.

პ. კახიძეს და ახობაძეს (ცხენ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენციები „წარმოდგენებზე შეჯიბრის“ შესახებ, არ დაიბეჭდება. ასეთები იყო ჩვენს გაზეთში.

დ. ჰანკვეტაძეს. (თელავი მე-6 ლეგ. მე-3 ათასეულის სამგკომს) თქვენს მიერ გადმოგზავნილ სიიდან არ იგზავნება გაზეთი 15 მარტ. ქ. თელავში ყვარელის ქუჩა—არჩილ ფირანაშვილის სახელზე, ვინაიდან აღნიშნული მისამართი სწორი არ აღმოჩდა. გამოგვიგზავნეთ მისი სწორი მისამართი.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6-ე ლეგიონის ბიურო-კოლექტივში შემოტანილი აქვთ განცხადება და თხოულობენ პარტიაში მიღებას შემდეგი ამხანაგები: 1) ნონაშვილი ლევანი (ათის-თავი, გორის მაზ. ს. სამწერისში მც... თხოულობს კომ-კავშირის წევრობიდან კომ-პარტიის კანდიდატად გადარიცხვას), 2) ანთიძე ნიკოლოზ აქსენტის-ძეს (ათის თავი, ო...ურგეთის მაზ. სოფ. ჯოლეთის მცხოვრები, თხოულობს კომპარტიის კანდიდატობიდან წევრად გადარიცხვას), 3) კისიევი ვასილ გაბო...ძე (წ. არმიელი, ცხინვალის მაზ. სოფ. ხელჩოში მცხოვრები, უპარტიო, თხოულობს კომ-პარტიის კანდიდატად მიღებას).

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ამხანაგების კომ-პარტიაში მიღებაზე, გთხოვთ გვაცნობოთ მე-6-ე ქ. მ. ლეგიონის ბიურო-კოლექტივში.

**დაკარგა** სამხედრო მომხმარებელ საზოგადოება „ბოეცის“ გამგეობიდან გაცემული კოოპერატივის საწევრო წიგნაკი №2704 პავლე გორგასიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. ტ. ს. ც.  სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.  დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.